სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამოცემა
გამოდის 1957 წლიდან
№7–8 (286) სექტემბერი, 2015 წ. www.tsmu.edu

საუნივერსიტეტო კლინიკების განვითარება და აკადემიურ პროცესში მათი ორგანული ჩართვა მიგვაჩნია ერთ-ერთ ძირითად უალტერნატივო მიდგომად, რადგან კლინიკური აზროვნებისა და განათლების ზიარება დიპლომამდელი განათლების საწყისი საფეხურებიდანვე გარანტია თანამედროვე მაღალკვალიფიციური სამედიცინო კადრის მოსამზადებლად!

პასუხი რომ გავცეთ თანამედროვე გამოწვევებს, დავიმკვიდროთ ღირსეული ნიშა ჯანდაცვის სისტემაში

ძვირფასო პირველკურსელებო, სტუდენტებო, რეზიდენტებო, კოლეგებო! მაქვს პატივი, მოგილოცოთ ახალი – 2015-16 სასწავლო წელი და თითოეულ თქვენგანს გისურვოთ იმ ვალდებულებების წარმატებით განხორციელება, რაც გაკისრიათ.

განსაკუთრებით მინდა მივმართო პირველკურსელებს, რომლებმაც გააკეთეს პროფესიული არჩევანი და დღეს აქ, ჩვენთან ერთად, ზეიმობენ ამ ახალ სასწავლო წელს. მინდა გითხრათ, რომ საპასუხისმგებლო და საპატიოა თქვენი არჩევანი, რადგან მოგიწევთ ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ამისთვის კი, დარწმუნებული ვარ, არ დაიშურებთ გარჯასა და მონდომებას ისეთი ცოდნის შესაძენად, რომელი ცოდნაც გარანტია თანამედროვე მაღალკვალიფიციური სამედიცინო კადრის ჩამოსაყალიბებლად. ასეთი ცოდნის მისაღებად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, აკადემიური პერსონალი მზად არის იმ პრინციპების განსახორციელებლად, როგორიცაა: ცოდნისა და კვლევის აკადემიური ხარისხი, დემოკრატიულობა, მართვის ორგანოების არჩევითობა და გამჭვირვალობა, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიური თავისუფლება.

თქვენ ბედნიერი შევსება ბრძანდებით ჩვენი უნივერსიტეტისა. მოგეხსენებათ, პროფესიული დახელოვნებისთვის მნიშვნელოვანია საუნივერსიტეტო კლინიკების არსებობა, რომელთანაც დაკავშირებული იქნება მთელი თქვენი სტუდენტური და რეზიდენტურის წლები. **თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა, რომელიც მიმდინარე წლის გაზაფხულზე გაიხსნა, გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა, აპოლონ ურუშაძის საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკა, სამედიცინო უნივერსიტეტის №1 და №2 სტომატოლოგიური კლინიკები, თქვენი დიპლომამდელი, დიპლომისშემდგომი და უწყვეტი საგანმანათლებლო პროგრამების თანამედროვეობის შესატყვისად განხორციელებას უზრუნველყოფს.** სწორედ კლინიკური სექტორის, საუნივერსიტეტო კლინიკების განვითარება და აკადემიურ პროცესში მათი ორგანული ჩართვა მიგვაჩნია ერთ-ერთ ძირითად უალტერნატივო მიდგომად, რადგან კლინიკური აზროვნებისა და განათლების ზიარება დიპლომამდელი განათლების საწყისი საფეხურებიდანვე გარანტია თანამედროვე მაღალკვალიფიციური სამედიცინო კადრის მოსამზადებლად. ამიტომაც, მიუხედავად ძნელად გადასალახი ბარიერებისა, ძალ-ღონე, მონდომება თუ ფინანსები არ დავიშურეთ იმისთვის, რომ გქონოდათ ისეთი მრავალპროფილური, ევროპული სტანდარტების შესატყვისად აღჭურვილი საუნივერსიტეტო კლინიკები, სადაც ნამდვილად შეძლებთ, შეიძინოთ ის ცოდნა, რითაც პასუხი უნდა გასცეთ თანამედროვე გამოწვევებს, დაიმკვიდროთ ღირსეული ადგილი ჯანდაცვის სისტემაში.

თამამად და ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმატებები უცილობლად თვალსაჩინოა უკანასკნელ პერიოდში. ჩვენს უნივერსიტეტში განხორციელდა პროგრესული გარდაქმნები, რომელიც რევოლუციურია სამედიცინო განათლებაში. ჩვენი კურსდამთავრებულებისთვის შექმნილია დასაქმების შესაძლებლობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. უცხოეთის 40-ზე მეტი ქვეყნიდან ჩვენი პარტნიორია 100-ზე მეტი უნივერსიტეტი და კლინიკა, სადაც ყოველწლიურად სტაჟირებას გადის რამდენიმე ასეული სტუდენტი და რეზიდენტი. მედიცინის ფაკულტეტზე, ემორის უნივერსიტეტის (აშშ, ატლანტა) სამედიცინო სკოლასთან ერთად, შემუშავებულია დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა; საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე – პარიზის მენეჯმენტისა და აღსრულების აკადემია – უნიმენსა და გრენობლის უნივერსიტეტთან ხორციელდება საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა. ასევე, ინგლისურ ენაზე შექმნილია საზოგადოებრივი ჯანდაცვის მენეჯმენტისა და ჯანდაცვის პოლიტიკის ახალი ქართულ-ფრანგული სამაგისტრო პროგრამა.

ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტზე მოქმედებს ახალი სამაგისტრო პროგრამა – რეაბილიტაცია სპორტში; საექთნო საქმეში შემუშავდა ახალი, ქართულ-ავსტრიული საბაკალავრო პროგრამა.

ჩვენს უნივერსიტეტს ლექციების წასაკითხად სტუმრობენ აშშ-ის, ევროკავშირის ქვეყნების, დიდი ბრიტანეთის, თურქეთის და ისრაელის უნივერსიტეტების წამყვანი პროფესორები.

სამედიცინო უნივერსიტეტი მონაწილეობს ევროპაში სამედიცინო განათლების ძირითადი მარეგულირებელი ორგანიზაციების – ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (AMEE) და MEDINE-ის სამუშაო ჯგუფებში, სადაც მიმდინარეობს სამედიცინო განათლების სტანდარტების შემუშავება და ნორმატიული დოკუმენტების შექმნა;

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში წარმატებით განხორციელდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტემპუსის სამწლიანი პროექტი „დიპლომამდელი სამედიცინო განათლების მოდერნიზაცია ევროგაერთიანების აღმოსავლეთ სამეზობლო ქვეყნებში", რომლის მიზანს წარმოადგენდა ევროპული სტანდარტების შესაბამისი დიპლომამდელი სამედიცინო განათლების ახალი მოდელის შემუშავება და დანერგვა. პროექტის ფარგლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში შეიქმნა აკადემიური განვითარების ცენტრი, რომლის მიზანია აკადემიური პერსონალის გადამზადება სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში.

სამედიცინო უნივერსიტეტში განხორციელდა კლინიკური უნარჩვევების ცენტრის სრული მოდერნიზაცია. ამ ცენტრის ბაზაზე, ამჟამად, კლინიკური უნარების ათვისებასთან ერთად, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდები (OSCE) ტარდება.

ჩვენი უნივერსიტეტი გამარჯვებულია „თბილისელების ოქროს კატალოგის" 2014 წლის ნომინაციაში – „წლის წარმატებული უნივერსიტეტი", ორგზის გამარჯვება მოიპოვა ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს" და ინფორმაციის განვითარების თავისუფლების ინსტიტუტის ნომინაციაში – „საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და გამჭვირვალე საქმიანობა".

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მიმზიდველია არა მარტო ქვეყნის მასშტაბით, არამედ – მსოფლიოს 46 ქვეყნის ახალგაზრდებისთვისაც, რასაც ადასტურებს ჩვენთან უცხოელ სტუდენტთა სამრავლე და ისიც, რომ ჩვენი საქმიანობის სახელმძღვანელო პრინციპები სავსებით თანხვედრაშია ევროპის საგანმანათლებლო სისტემასთან, რომლის შემუშავებაში თავად ვმონაწილეობთ. გამომდინარე აქედან, ნიშანდობლივია, რომ ჩვენი უნივერსიტეტი სრულუფლებიანი წევრია ევროპის საგანმანათლებლო სივრცისა.

ძვირფასო სტუდენტებო, თქვენ ბრძანდებით ჩვენი ხვალინდელი დღე! სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი დღენიადაგ ზრუნავს იმისთვის, რომ უზრუნველყონ თქვენი მომზადება ჯანდაცვის სფეროს მაღალკვალიფიციურ და კონკურენტუნარიან კადრებად, ზრუნავენ იმისთვის, რომ ყოველდღიურად გაგიუმჯობესონ აკადემიური გარემო – სწავლის და სწავლების ხარისხი, რაშიც თავად დარწმუნდებით სასწავლო აუდიტორიებსა და კლინიკებში.

თქვენზე ბევრია დამოკიდებული. შესაძლებლობა ნამდვილად გაქვთ მყარი ცოდნის მისაღებად, გააასმაგეთ მოსმენის უნარი. ლექციებზე, პრაქტიკულ მეცადინეობებსა და კონფერენციებზე დასწრება, დისკუსია ხელს შეგიწყობთ ანალიზსა და ინფორმაციის მართვაში, პრობლემის გადაწყვეტასა და დიაგნოზის დასმაში. განსაკუთრებით მინდა პირველკურსელებს გირჩიოთ, რომ იმეცადინეთ ყოველდღიურად, რეგულარულად დაესწარით მეცადინეობებს, ნუ გააქტიურდებით მხოლოდ სასესიო პერიოდში, რადგან მოკლე დროში მიღებული ცოდნა მოკლე დროშივე ქრება... გარდა სწავლისა, ჩაერთეთ უნივერსიტეტის სისხლსავსე სტუდენტურ ცხოვრებაში – კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში. მინდა გაუწყოთ ისიც, რომ გაქვთ შესაძლებლობა საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში „ელსევიერის" უმსხვილესი საერთაშორისო სამეცნიერო ბაზით უფასოდ სარგებლობისა. მთავარია, შეგეძლოთ ინფორმაციის მართვა, რადგან ახლა პრობლემა არა ინფორმაციის მოპოვებაშია, არამედ მის მართვაში, ცოდნად გარდაქმნასა და უწყვეტი განათლების მიღებაშია. თქვენთვის ხელმისაწვდომია ყველა თანამედროვე სამედიცინო სიახლე და ინფორმაცია.

იარეთ ტრადიციებით მომავლისკენ, რომელშიც თქვენი წვლილის შეტანა გევალებათ!

წარმატებებს გისურვებთ ყველგან და ყოველთვის!

ჩვენ ერთად ყველაფერს შევძლებთ!

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის რექტორი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკები

პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა

დიპლომამდელი, დიპლომისშემდგომი და უწყვეტი საგანმანათლებლო პროგრამების სათანადო დონეზე განსახორციელებლად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ახალი საუნივერსიტეტო კლინიკა შეემატა – პროფესურისა და სტუდენტებისთვის შეივსო გარკვეული დეფიციტი ეფექტური კლინიკური სწავლების პროცესში.

კლინიკის ამოქმედება უმნიშვნელოვანეს მოვლენად შეიძლება შეფასდეს. თსსუ-ის მასშტაბების და უმაღლეს სამედიცინო-საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის მისი მოწინავე პოზიციის გათვალისწინებით, კლინიკას საკვანძო როლი აკისრია, ზოგადად, ქართული მედიცინის განვითარების საქმეშიც. აქ ყველა პირობაა კლინიკური და აკადემიური საქმიანობისთვის, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კლინიკური, ეპიდემიოლოგიური და ინტერდისციპლინური კვლევების შესრულებისთვის, რაც საუნივერსიტეტო განათლების ორგანული კომპონენტია.

კლინიკა თსსუ-ის ორ ათეულამდე სასწავლო დეპარტამენტის კლინიკური ბაზაა. აკადემიური პერსონალი დ კონკურსის წესით შერჩეული უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე ექიმები, ცოდნის, უახლესი სამედიცინო აპარატურის და აღჭურვილობის გამოყენებით, უზრუნველყოფენ ფართო სპექტრის პათოლოგიების დიაგნოსტიკას, გადაუდებელ დახმარებას, ქრონიკული მდგომარეობის მართვას.

აქ კლინიკური საქმიანობა განუყოფელია საგანმანათლებლო საქმიანობასთან, რაც დიპლომამდელი განათლების სტუდენტებს და რეზიდენტებს კონკურენტუნარიან პიროვნებებად ჩამოყალიბების უნიკალურ შანსს აძლევს. მაღალხარისხიანი დიპლომამდელი და დიპლომისშემდგომი განათლების მიღების პარალელურად, სტუდენტები და რეზიდენტები ორგანულად არიან ჩართულნი სამედიცინო საქმიანობაში.

კლინიკა 185 საწოლზეა გაშლილი. მაღალი სტანდარტის სადიაგნოსტიკო, სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრებით აღჭურვილ სტაციონარში მოღვაწეობენ ჩვენში და უცხოეთში აღიარებული პროფესიონალები, მედიცინის სხვადასხვა სფეროს თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომლებიც მომავალი სამედიცინო კადრის აღზრდის პარალელურად, მაღალკვალიფიციურ საექიმო მომსახურებას უწევენ ქვეყნის მოსახლეობას.

გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა

კლინიკა მრავალპროფილიანი ბავშვთა საავადმყოფოა, აღჭურვილი თანამედროვე სამედიცინო აპარატურით, მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიებით. აქ მოღვაწეობენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორები. კლინიკა თსსუ-ის სასწავლო ბაზაა, სადაც სტუდენტები და რეზიდენტები იძენენ კლინიკურ ცოდნას და ეუფლებიან კლინიკურ უნარებს. კლინიკის სამედიცინო, სასწავლო თუ კვლევით საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობენ უცხოელი პროფესორები – მაღალკვალიფიციური სპეციალისტები აშშ-დან, დიდი ბრიტანეთიდან, გერმანიიდან, ისრაელიდან და სხვა.

კლინიკა პაციენტებს სთავაზობს მაღალი სტანდარტის ამბულატორიულ, სტაციონარულ და სადიაგნოსტიკო სერვისს. აქ ფუნქციობს: **თერაპიის, ქირურგიის, კრიტიკული მედიცინის, სასწრაფო-გადაუდებელი და ამბულატორიული მომსახურეობის, ლაბორატორიული და დიაგნოსტიკური კვლევის სამსახურები.**

სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა სწავლებას ემსახურება სამი თანამედროვე საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკა:

აპოლონ ურუშაძის სახელობის საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკა (დავით აღმაშენებლის გამზირი №126);
თსსუ–ის №1 სტომატოლოგიური კლინიკა (დ.უზნაძის ქ. №2);
თსსუ–ის №2 სტომატოლოგიური კლინიკა (ცოტნე დადიანის ქ. №303)
აღნიშნულ კლინიკებში უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და მაღალკვალიფიციური ექიმი-სტომატოლოგების მიერ წარმოებს სრული სპექტრის სტომატოლოგიური მომსახურება.

დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა

პროგრამის მიზანია, აღზარდოს საერთაშორისო მასშტაბით კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური ექიმები, რომლებიც მზად არიან დიპლომისშემდგომი განათლების და სპეციალური მზადებისთვის როგორც საქართველოში, ასევე, მის საზღვრებს გარეთ.

თანამედროვე მსოფლიოს მოთხოვნები ნებისმიერ სფეროში მაღალ სტანდარტებს საჭიროებს. მათ შორის ეს, რა თქმა უნდა, ეხება მედიცინასაც.

პროფესიონალიზმისა და კომპეტენტურობის გარეშე კი წარმატების მიღწევა შეუძლებელია, ხოლო ამ ყველაფრის წინაპირობა მაღალი ხარისხის განათლების მიღებაა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ამიერკავკასიაში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და ტრადიციული უმაღლესი სასწავლებელია, რომელიც საინტერესო და მნიშვნელოვან ინოვაციებს საკმაოდ ხშირად სთავაზობს სტუდენტებს და ამ შემთხვევაშიც სიახლე მნიშვნელოვან ყურადღებას იმსახურებს.

2013-2014 სასწავლო წელს, თბილისის სახელწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, მედიცინის ფაკულტეტზე წარმატებით დაიწყო დიმპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა, რომელიც შეიქმნა თსსუ-ისა და ემორის უნივერსიტეტის (აშშ, ატლანტა) სამედიცინო სკოლის (ESOM) ერთობლივი პროექტის საფუძველზე.

ექვსწლიანი პროგრამა სრულად ინტეგრირებულია და სტუდენტები სწავლის საწყის საფეხურზე, სამედიცინო მეცნიერებებთან ერთად, სწავლობენ ჰუმანიტარულ მეცნიერებებს: სოციო-კულტურული და სამედიცინო ანთროპოლოგია, ცივილიზაციების ისტორია, ხელოვნების ისტორია, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, მსოფლიო ლიტერატურა, მედიცინის ისტორია.

დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ფარგლებში დაინერგა ახალი საგანი – **„გახდე ექიმი“** (Becoming a Doctor). მოცემული დისციპლინა აშშ-ის სამედიცინო სკოლებისთვისაც შედარებით ახალია (თუმცა, რამდენიმეწლიანი გამოცდილება უკვე არსებობს) და ეფუძნება მცირე ჯგუფურ, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას. „გახდე ექიმი“, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, სტუდენტს ეხმარება 6 წლის განმავლობაში აქტიურად გამოიყენოს მიღებული ცოდნა პაციენტებთან მიმართებაში, განივითაროს ყველა ის უნარ-ჩვევა, რაც მას, როგორც პროფესიონალ ექიმს, აუცილებლად დასჭირდება. სტუდენტებს სწავლის დაწყებიდანვე აქვთ შეხება პაციენტებთან, კლინიკურ მედიცინასთან, რაც, თავის მხრივ, ზრდის მათ მოტივაციას, დაინტერესებას.

სწავლის პროცესში აქტიურად არის ჩართული ემორის უნივერსიტეტის პროფესურა. ისინი პერიოდულად სტუმრობენ თსსუ-ს და სტუდენტებთან ატარებენ ლექციასემინარებს, კერძოდ, ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის პროფესორი, საქართველოსა და თბილისის საპატიო მოქალაქე, პროფესორი **კენეტ ვოლკერი**. ემორის უნივერსიტეტის პროფესორები: **გორდონ ჩერჩვორდი**, **მერი ჯო ლეკოვიჩი**, **ჰოვარდ კუშნერი**, **არჩილ უნდილაშვილი**.

ინგლისურენოვანი სწავლება და პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს სწავლის პროცესშივე აშშ-ის სამედიცინო სალიცენზიო გამოცდის (United State Medical Licensing Examination – USMLE) ჩაბარებას. რეალურად, ამ ლიცენზიის მიღებით უსაზღვროდ ფართოვდება სტუდენტის მომავალი დასაქმების, პროფესიული დახელოვნების, მუდმივი პროფესიული განვითარების არეალი. უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს ყოველთვის ჰქონდათ შესაძლებლობა, რომ ამერიკის და სხვა საერთაშორისო დონის სალიცენზიო გამოცდებზე გასულიყვნენ, რისთვისაც ისინი, ინგლისური ენის ცოდნის გარდა, დამატებით მომზადებას საჭიროებდნენ. ახალი პროგრამით კი სალიცენზიო გამოცდებისთვის მზადება და მათი ჩაბარება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, რაც დროს, ენერგიას და ხარჯებს ზოგავს.

სწავლების პროცესში აქტიურად არის ჩართული პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისგან შექმნილი სამუშაო ჯგუფი, ე.წ. კურიკულუმის კომიტეტი, რომელიც პერიოდულად განიხილავს როგორც მიმდინარე, ასევე, პროგრამის მომავალი განვითარების საკითხებს.

პროგრამის მიზანია, აღზარდოს საერთაშორისო მასშტაბით კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური ექიმები, რომლებიც მზად არიან დიპლომისშემდგომი განათლებისა და სპეციალური მზადებისთვის როგორც საქართველოში, ასევე, მის საზღვრებს გარეთ. სწავლის პროცესში ბაზისური და კლინიკური დისციპლინები ინტეგრირებულია და სტუდენტს საშუალებას აძლევს, სწავლის დაწყებისთანავე, აქტიურად იყოს ჩართული კლინიკურ საქმიანობაში და, ამავდროულად, განახორციელოს სამეცნიერო კვლევაც.

აღსანიშნავია ისიც, რომ პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს საშუალება მიეცემათ სწავლის, სამეცნიერო კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობის ეტაპები გაიარონ ემორის უნივერსიტეტში. სწავლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი მიენიჭება. ამასთან, სამეცნიერო კვლევაში აქტიურად ჩართულ სტუდენტს დიპლომირებული მედიკოსის (M.D.) ხარისხთან ერთად, შესაძლებლობა ეძლევა დამატებით აიღოს მაგისტრის ხარისხი მედიცინის მეცნიერებაში (Master of Medical Science), განსაკუთრებული წარმატების შემთხვევაში – დოქტორის ხარისხი (Ph.D.).

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ პროგრამა გულისხმობს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას, რომელიც თითოეულ სტუდენტს ეხმარება ინდივიდუალურად განივითაროს ოცდამეერთე საუკუნის წარმატებული ექიმისთვის აუცილებელი ყველა უნარ-ჩვევა. პერიოდულად ეწყობა ინდივიდუალური შეხვედრები სტუდენტებთან და მათ პედაგოგებთან, ინტეგრირებული სემინარები, რაც საშუალებას იძლევა სწავლების პროცესი ობიექტურად შეფასდეს და მუდმივად განვითარდეს. ასევე, მოქმედებს სტუდენტთა სოციალური მრჩეველის სამსახური, რაც, რა თქმა უნდა, სტუდენტების ინტერესებს ემსახურება.

სექტემბრიდან პროგრამა უკვე სტუდენტების მესამე ნაკადს ელოდება, რომელიც კიდევ უფრო ინტერნაციონალურია. წელს კი პროგრამას აპლიკანტები შეემატა სამხრეთ კორეადან და აფრიკის კონტინენტიდანაც.

სტუდენტებო, გახსოვდეთ, რომ ჩვენ თქვენს სამსახურში ვართ.

დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის გუნდი

ფოტოალბომი

ასათია თქვენი





სტუდენტური ცხოვრება

საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მენეჯმენტის საბაკალავრო და სამაგისტრო ერთობლივი – ქართულ-ფრანგული საგანმანათლებლო პროგრამები

2012 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე, ამოქმედდა ახალი ქართულ-ფრანგული საბაკალავრო პროგრამა – „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი“, ასევე, ინგლისურ ენაზე – საზოგადოებრივი ჯანდაცვის მენეჯმენტისა და ჯანდაცვის პოლიტიკის ახალი, ქართულ-ფრანგული სამაგისტრო პროგრამა.

პროგრამები შემუშავდა და ხორციელდება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და მენეჯმენტის და აღსრულების აკადემიის („უნიმენი“, საფრანგეთი) ერთობლივი პროექტის საფუძველზე.

ერთობლივი საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის, საფრანგეთის მხარის წარმომადგენელთა შემოთავაზებით, დამატებით გაიცემა საფრანგეთის კანონმდებლობით აღიარებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს (ბაკალავრს) ეძლევა ორი დიპლომი: ქართული – საქართველოს სახელმწიფოს მიერ აღიარებული კანონმდებლობით დადგენილი წესით და ფრანგული – საფრანგეთის სახელმწიფოს მიერ აღიარებული კანონმდებლობით დადგენილი წესით. აღნიშნული დიპლომების ვალიდურობა პროგრამის კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს, მოახდინოს საკუთარი შესაძლებლობის რეალიზება საფრანგეთშიც.

თსსუ-ის ყოველი სტუდენტი, რომელიც რეგისტრირებული იქნება საგანმანათლებლო პროგრამაში, ვალდებულია მიყვეს FLE-ის კურსს ფრანგული ენის კურსს თსსუ-ში.

ერთობლივი პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მენეჯმენტის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

წელს, ერთობლივი პროგრამის პირველ კურსდამთავრებულებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მენეჯმენტის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მიენიჭათ.

ერთობლივი საერთაშორისო ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მენეჯმენტი და ჯანდაცვის პოლიტიკა“ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მასშტაბით ამ ტიპის პროგრამის პრაქტიკულად პირველი პრეცენდენტია. პროგრამა წარიმართება ინგლისურ ენაზე მაღალი კვალიფიკაციის ძირითადი და მოწვეული ლექტორების მიერ.

პროგრამის ხანგრძლივობაა 4 სემესტრი (2 წელი), რომელთაგან ბოლო სემესტრი დაეთმობა სამაგისტრო ნაშრომის (თეზისის) მომზადებას. სასწავლო პროცესის ძირითადი ნაწილი წარიმართება თბილისში, ხოლო ზაფხულისთვის, სურვილის შემთხვევაში, მსმენელებს პრაქტიკის გავლის შესაძლებლობა ექნებათ გრენობლში, საფრანგეთში.

პროგრამის წარმატებით დამთავრებისას სტუდენტებს მიენიჭებათ ორი სამაგისტრო ხარისხი – თითო თითოეული პარტნიორი ორგანიზაციიდან: თსსუ და UniMan. ეს უკანასკნელი ფაქტი კიდევ უფრო გაზრდის ჩვენი კურსდამთავრებულების დასაქმების შესაძლებლობებს ევროკავშირის ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში.

კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი

აღჭურვილია უახლესი სასწავლო-სამედიცინო ტექნოლოგიებით – თანამედროვე კომპიუტერებით, სამედიცინო სიმულატორებითა და მანეკენებით. ცენტრის მუშაობის მიზანია კლინიკური საქმიანობის პრაქტიკული

ჩვევები თანამედროვე დონეზე შეასწავლოს მომავალ ექიმებს.

ამჟამად, ცენტრში პრაქტიკული მეცადინეობები სიმულატორებსა და მანეკენებზე უტარდებათ მედიცინის ფაკულტეტის მეორე, მეოთხე და მეექვსე კურსის სტუდენტებს სხვადასხვა კლინიკური დარგის მიხედვით, როგორიცაა: რეანიმაცია და გადაუდებელი დახმარება, მეანობა და გინეკოლოგია, ახალშობილის რეანიმაცია და მოვლა, ქირურგია, ოფთალმოლოგია, ოტოლოგია, გულისა და ფილტვების აუსკულტაცია და მონაცემების ინტერპრეტაცია, მოზრდილი ავადმყოფის და ბავშვის მოვლა.

სიმულატორებზე და მულაჟებზე სამედიცინო მანიპულაციებისა და პროცედურების ჩატარების საშუალება ეძლევათ, ასევე, ფარმაციის ფაკულტეტის და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (პრაქტიკოსი ექთნების, ბებიაქალების და ბაკალავრი ექთნების) სტუდენტებს.

კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრში სტუდენტები სიმულატორებსა და მულაჟებზე ეუფლებიან ბაზისური სამედიცინო მანიპულაციების ჩატარებას, როგორიცაა: სხვადასხვა სახის ინექცია, პაციენტის მოვლისა და ტრანსპორტირების უნარ-ჩვევები, ელექტროკარდიოგრამის გადაღება, ასევე, გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, მათ შორის, – პირველადი დახმარება და რეანიმაცია.

სწავლების ყველა ეტაპზე, კლინიკურ უნარ-ჩვევებში სილაბუსით განსაზღვრული სასწავლო პროგრამის დასრულებისთანავე, მედიცინის ფაკულტეტის მეოთხე და მეექვსე კურსებზე ტარდება ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (ოსკი), სტუდენტი ახდენს სხვადასხვა სამედიცინო პროცედურის ჩატარების დემონსტრირებას და მათი შეფასება ხდება წინასწარ მომზადებული სპეციალური ფურცლით.

კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრში, ყოველი სემესტრის დასრულების შემდგომ, წარმოებს სტუდენტთა შეფასებებისა და უკუკავშირის ანალიზი, რაც საშუალებას იძლევა სილაბუსების შემდგომი დახვეწისა და სრულყოფისთვის – დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული მინიმალურ კომპეტენციათა წარმატებით შესრულებისთვის.

პროფესორი ირმა მანჯავიძე,
კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრის ხელმძღვანელი

სამედიცინო სამყაროში მეცნიერული ინტეგრაციისთვის

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრის სახელით, ყველა პირველკურსელს ვულოცავ სტუდენტობას, ვუსურვებ ღირსეულად და პირნათლად გაევლოთ ეს მეტად საინტერესო და რთული გზა!

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრი შეიქმნა სამეცნიერო უნარ-ჩვევების ლაბორატორიის ბაზაზე, MUMEENA-ს პროექტის ფარგლებში, რომლის საქმიანობასაც წარმოადგენს თსსუ-ში სამეცნიერო კვლევის კურსის კოორდინაცია და, ასევე, სამეცნიერო კვლევის კურსის საფუძვლების განხორცელება. სამეცნიერო კვლევის საფუძვლების კურსი მოიცავს სამეცნიერო უნარ-ჩვევების სწავლებას და ამ სწავლების ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს – რა არის კვლევა, კვლევის თეორიული პერსპექტივები, კვლევასთან ასოცირებული თეორიული და პრაქტიკული საკითხები, ეთიკის საკითხები, კვლევის სწავლების დიზაინი, მონაცემების პრეზენტაცია, სტატისტიკური კომპიუტერული პროგრამები, მონაცემთა ბაზის მართვა, მზადება პუბლიკაციისთვის, საგრანტო პროექტების წერა. ზემოაღნიშნული მიზნების განსახორციელებლად ცენტრის თანამშრომლების მიერ მომზადდა სასწავლო-მეთოდური რეკომენდაციები – „სამეცნიერო კვლევის საფუძვლები“ და სახელმძღვანელო – „სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგია და უნარ-ჩვევები“.

საქართველოს ეროვნული აკრედიტაციის სტანდარტების დიპლომამდელი სამედიცინო განათლების კანონის თანახმად, სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრის ძირითადი სტრატეგიული მიზნებია სტუდენტებში განავითაროს:

მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპებისა და ცოდნის გამოყენების უნარები;

სამედიცინო პრაქტიკაში ბიოსამედიცინო კვლევის პრინციპებისა და მეთოდების გამოყენების უნარები;

კრიტიკული ანალიზის, სწორი დასკვნების გაკეთების და მათი პრაქტიკაში განხორციელების უნარები.

ცენტრის უმნიშვნელოვანეს საქმიანობას წარმოადგენს სტუდენტური სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ორგანიზება და განხორციელება; სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო კონფერენციების და სემინარების ორგანიზება და მხარდაჭერა ადგილობრივად და რეგიონულად.

სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრი ყოველწლიურად პერმანენტულად ატარებს ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო კონფერენციას სახელწოდებით – „გზა კვლევისკენ“.

ცენტრის ბაზაზე ფუნქციობს ექსპერიმენტულ ცხოველებზე წარმოებული კვლევის ეთიკის კომიტეტი. კომიტეტის ძირითადი ფუნქცია და დანიშნულებაა ლაბორატორიულ ცხოველებზე წარმოებული ბიოსამედიცინო კვლევების ზედამხედველობა და შესაბამისობის უზრუნველყოფა საერთაშორისოდ აღიარებულ ეთიკურ და სამართლებრივ სტანდარტებთან.

ასე რომ, სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრის მთავარი სტრატეგიაა სტუდენტებში განავითაროს სამეცნიერო კვლევითი უნარები და ხელი შეუწყოს მათ ინტეგრაციას სამედიცინო სამეცნიერო სამყაროში.

კეთილი იყოს თქვენი შემობრძანება სამედიცინო განათლების იმ ალმა-მატერში, რასაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ჰქვია, სადაც სამედიცინო განათლების და სამეცნიერო კვლევის მაღალი სტანდარტებით ხორციელდება ექიმის ჩამოყალიბება.

ლუიზა გაბუნია,
სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრის დირექტორი, ფარმაკოლოგიის დეპარტამენტის სამედიცინო ფარმაკოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი.

ანატომიური თეატრი

თბილისის სახელწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ანატომიური თეატრი 2007 წელს დაარსდა. იგი ემსახურება ნორმალური ანატომიის, ტოპოგრაფიული და კლინიკური ანატომიის დეპარტამენტების სასწავლო და სამეცნიერო პროცესს.

ანატომიური თეატრი სტუდენტებისთვის, განსაკუთრებით – პირველკურსელთათვის – ერთ-ერთი საინტერესო ადგილს წარმოადგენს, სადაც მათ პირველი შეხება აქვთ პრეპარირებულ გვამებთან, შეუძლიათ ინდივიდუალურად მიმოიხილონ ესა თუ ის მიდამო (გულმკერდი, მუცლის ღრუ, კიდურები და სხვა). ჩვენს ცენტრში, ასევე, შესაძლებელია, ანატომიური პრეპარატების მომზადების ტექნიკის ათვისება.

ანატომიურ თეატრში ტარდება პრაქტიკული მეცადინეობები კლინიკურ ანატომიაში. ანატომიური თეატრისა და კლინიკური ანატომიის თანამშრომლების მიერ გვამებზე შექმნილია სხვადასხვა მოდელი, რომლებიც მაქსიმალურად არის მიახლოებული კლინიკურ პირობებთან. სტუდენტებს შეუძლიათ ნახონ ჰემატომები, აბსცესები, მოტეხილობები, უცხო სხეულები, შეასრულონ ჭრილობების პირველადი ქირურგიული დამუშავება. ქირურგიული მიდგომები ამა თუ იმ მიდამოსთან, ჩირქგროვების სანაცია, დრენირება. სასწავლო პროცესში ჩართულნი არიან სხვადასხვა სპეციალობის რეზიდენტები, ექიმები (სტომატოლოგები, გინეკოლოგები, უროლოგები, ნევროლოგები, რეანიმატოლოგები, ქირურგები, ტრანსპლანტოლოგები).

ანატომიურ თეატრში განთავსებულია თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი სასექციო დარბაზი, 2 სასწავლო აუდიტორია და ლაბორატორია ანატომიური კვლევებისთვის. ინფრასტრუქტურითა და ინტერიერით იგი სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

ანატომიურ თეატრში რეგულარულად მიმდინარეობს ანატომიური კვლევების სამეცნიერო პროცესი, რომელშიც აქტიურად არიან ჩართულნი როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი სტუდენტები.

სტუდენტები, ანატომიურ თეატრში ჩატარებული კვლევების საფუძველზე, წარმატებით მონაწილეობენ სტუდენტურ კონფერენციებში; ასევე, მზადდება სხვადასხვა ორგანოს პრეპარატები, მიმდინარეობს თანამედროვე მეთოდების ათვისება ანატომიური პრეპარატების მომზადების თვალსაზრისით.

პროფესორი
კონსტანტინე ჩუტკერაშვილი,
ანატომიური თეატრის დირექტორი.

საუკეთესო არჩევანი

ძვირფასო პირველკურსელებო, ჩვენო მომავალო კოლეგებო! გზა, რომელიც წელს თქვენთვის იწყება, ნამდვილად გრძელი და სირთულეებით აღსავსეა, თუმცა ამ გზაზე სწორედაც რომ ღირსეულებს შეუძლიათ სვლა. თქვენ ხართ ის გამორჩეული სტუდენტები, რომლებმაც თქვენივე სურვილით აირჩიეთ ეს გზა და მობრძანდით ცოდნის ამ ტაძარში – ჩვენს ალმა-მატერში...

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი გამორჩეული უმაღლესი სასწავლებელია კვალიფიციური აკადემიური პერსონალით, მდიდარი ტრადიციებით, სიახლეებით – მუდამ განვითარებაზე ორიენტირებული, სტუდენტზე მორგებული გარემოთი. გარდა დატვირთული სასწავლო პროცესისა, აქ გელით შინაარსიანი, აქტიური, მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრება.

ივ. თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება 1947 წელს დაარსდა. მისი 68 წლიანი ისტორია ფრიად წარმომადგენლობითია, რაშიც ჩვენი წინა თაობაც დაგვეთანხმება. სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება აქტიურად არის ჩართული უნივერსიტეტის მეცნიერების ხელშეწყობასა და პოპულარიზაციაში. საზოგადოების მიზანია მეცნიერების თანამედროვეობის შესატყვისად განვითარება, ხელშეწყობა, სტუდენტებში სამეცნიერო მუშაობის უნარ-ჩვევების დანერგვა და მათი გათვითცნობიერება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პრინციპებსა და მეთოდოლოგიაში.

სასწავლო წლის განმავლობაში ვახორციელებთ ტრენინგებს, სემინარებს, საჯარო ლექციებს, კონფერენციებს, დებატებს, სხვადასხვა სახის აქტივობებით აღვნიშნავთ საერთაშორისო დღეებს. ხაზგასამელია სასწავლო წლის ბოლოს დაგეგმილი ტრადიციული კონფერენცია, რომელიც წელს რიგით 78-ე იქნება.

თამამად შეგიძლიათ იამაყოთ სამედიცინო უნივერსიტეტით – ამ კედლებში აღიზარდა ასობით ცნობილი ექიმი, პროფესორი, პედაგოგი, მეცნიერი, მკვლევარი თუ პოლიტიკოსი. დიახ, ეს გახლავთ ჩვენს ქვეყანაში სამედიცინო განათლების ფლაგმანი, მომავალი თაობების ღირსეულად აღმზრდელი ტაძარი, სადაც ძლიერ, განათლებულ, მოაზროვნე პროფესიონალებად ჩამოყალიბდებით...

ასე რომ, სასიხარულოა და მისასალმებელი თქვენი გადაწყვეტილება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლის შესახებ. აქ იმედების გამართლება და საინტერესო სტუდენტური ცხოვრება გელით.

ივანე თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება გილოცავთ 2015-2016 სასწავლო წელს და გისურვებთ წარმატებებს პროფესიის დაუფლების რთულ და საპასუხისმგებლო გზაზე!

მიხეილ ჯანჯღავა,
ივ. თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების ხელმძღვანელი

მომავალი თქვენს ხელთაა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა გილოცავთ ახალ სასწავლო წელს. ეს პერიოდი ყოველთვის განსაკუთრებული მოვლენაა: ახალი პროგრამები, ახალი პროექტები, ახალი სტუდენტები, ახალი ემოციები, ახალი მოლოდინი და, რაც მთავარია, უმნიშვნელოვანესი ეტაპი პირველკურსელთათვის.

თსსუ-ის თვითმმართველობა ახალი სასწავლო წლის დაწყებას განსაკუთრებით გილოცავთ პირველკურსელებს. თქვენ პირველი სერიოზული ცხოვრების საპასუხისმგებლო გზაზე გაგიყვანთ, ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თქვენი სურვილით არჩეული ეს რთული, მაგრამ ჰუმანურობით აღსავსე საპატიო პროფესია. სამედიცინო უნივერსიტეტი მუდამ გამოირჩეოდა განსაკუთრებულად ნიჭიერი და შრომისმოყვარე სტუდენტებით. სასიხარულოა, რომ ეს ტენდენცია დღესაც გრძელდება.

ჩვენი უნივერსიტეტი გამორჩეული და ერთ-ერთი მონინავე უმაღლესი სამედიცინო სკოლაა მთელ რეგიონში, სადაც ყველანაირი პირობაა შექმნილი ახალგაზრდობის ნიჭისა და მრავალმხრივი უნარ-ჩვევების სრულყოფილად გამოსავლენად. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, პროფესორ-მასწავლებლები, კოლეგები ყოველდღიურად იზრუნებენ იმაზე, რომ თქვენი ინტელექტუალური შესაძლებლობები, პიროვნული თვისებები და მოტივაცია მაქსიმალურად გამოავლინოთ, რაც საუკეთესო ინვესტიციაა თქვენი მომავლისთვის მზარდი მოთხოვნისა და კონკურენციის ფარგლებში. სამედიცინო უნივერსიტეტში მიღებული ცოდნით შეძლებთ ღირსეული ადგილი დაიმკვიდროთ საზოგადოებაში. აქ ყველა პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ ძირფესვიანად დაეუფლოთ თქვენ მიერ არჩეულ პროფესიას და წარმატებული კარიერისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს.

მიუხედავად რთული სასწავლო პროცესისა, მაქსიმალური შესაძლებლობა გექნებათ განსაკუთრებული აქტიურობით ჩაერთოთ სტუდენტურ ცხოვრებაში, რომელიც მოიცავს მრავალფეროვან სპექტრს.

ღირსეულად გეტარებინოთ სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტის საპატიო და საპასუხისმგებლო სტატუსი. ჩვენს ქვეყანას უკეთესი მომავალი სჭირდება, მომავალი კი თქვენს ხელთაა.

გპირდებით საინტერესო აქტიურ და მრავალფეროვან სტუდენტურ ცხოვრებას!

გისურვებთ წარმატებებს!

თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა

მრწამსისა და ღირებულებების გამოკვეთის ხანა

სტუდენტობა ახალგაზრდის ცხოვრებაში შეხედულებების, მრწამსისა და ცხოვრებისეული ღირებულებების გამოკვეთის პერიოდია. დიდი მნიშვნელობა აქვს თუ როგორ გამოვიყენებთ ამ პერიოდს იმ საქმის დაუფლებისთვის, რომელსაც მთელი შეგნებული ცხოვრება უნდა ვემსახუროთ.

2011 წელს გავხდი თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი და არასდროს მინანია, რომ ცხოვრება ამ მეტად საპასუხისმგებლო, ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლესთან მჭიდროდ გადაჯაჭვულ პროფესიას დავუკავშირე. არჩევანის სისწორეში მრავალჯერ დამარწმუნა არაერთმა ღირსეულმა პროფესორმა თუ მასწავლებელმა. სასიამოვნოა, ამ რთული და ხანგრძლივი გზის ყველაზე დიდ ჯილდოზე – კმაყოფილ პაციენტსა და უამრავ გადარჩენილ სიცოცხლეზე – ფიქრიც კი. ამ ჯილდოს მიღება კი მხოლოდ თავდაუზოგავი შრომითა და მიზნისკენ დაუოკებელი სწრაფვით შეიძლება. ი. კანტი გვასწავლის: განათლება ემსახურება არა მარტო კოგნიტურ განვითარებას ადამიანისა, არამედ ის პასუხისმგებელია პიროვნების მორალურ სიმაღლესა და სიმწიფეზეც. ეს განსაკუთრებით ეხება საექიმო მორალს, რადგან საქმის კარგად ცოდნის გარდა, წარმატებული ექიმი კეთილსინდისიერებითაც უნდა იყოს გამორჩეული.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მძლავრ სტიმულს, ბიძგს გვაძლევს მომავალი განვითარებისთვის, რადგან შეუძლებელია მხოლოდ ექვსწლიანი სწავლით მიაღწიო ექიმობას... უნივერსიტეტი და აქ მოღვაწე განსწავლული, უდიდესი გამოცდილების მქონე პროფესორ-მასწავლებლები გვაჩვევენ თუ როგორ გავაკეთოთ სწორი აქცენტები, გამოვკვეთოთ პრიორიტეტები და სათანადო ცოდნით აღჭურვილები წარვდგეთ საზოგადოებრივი და საექიმო ცხოვრების სარბიელზე. თუმცა, ადამიანის წარმატებაში ლომის წვლილი თავად მას და საქმისადმი მის დამოკიდებულებას მიუძღვის. ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ ყველა ადამიანი უნიკალურია თავისი შესაძლებლობებით, ოღონდ ეს შესაძლებლობები ინდივიდუალურია... მინდა ჩემს ყველა კოლეგას ვუსურვო, სწორედ მედიცინა ყოფილიყოს ის სფერო, სადაც მაქსიმალურად მოახერხებს თვითრეალიზებას და დახარჯვას. მთავარია, სწორად გამოვიყენოთ ყველა ის რესურსი და შესაძლებლობა, რასაც უნივერსიტეტი გვთავაზობს.

ადამიანი მუდმივად წინსვლას უნდა ესწრაფოდეს, განსაკუთრებით – ექიმი... მედიცინა სწრაფად ვითარდება, იხვეწება, მდიდრდება მკურნალობის ახალი მეთოდებით და მიდგომებით.. ამიტომ ვალდებულები ვართ ამ პროგრესს ფეხი ავუწყოთ. სწავლა, შრომა, კარგად გაგაზრება იმისა, თუ რას მოითხოვს ჩვენი პროფესია ჩვენგან – მაქსიმალურად ათვისება თეორიისა და მისი ინტეგრაცია პრაქტიკასთან –„არ იხმარებ, რას ხელსა ჰხდი საუნჯესა დაფარულსა?“ – აი, რა გვჭირდება, ღირსეულად რამ უნდა მიგვიყვანოს პროფესიული დახელოვნების უმაღლეს წერტილთან.

სტუდენტები საზოგადოების ყველაზე აქტიური, სიცოცხლით სავსე ნაწილია... ისინი ქვეყნის ხვალინდელი დღეა. მე მჯერა, რომ ჩვენ ვიქნებით ღირსეულ წინაპართა საქმის ასევე ღირსეული გამგრძელებლები და მედიცინას მხოლოდ აღმასვლის მოლოდინი უნდა ჰქონდეს ჩვენგან. ექიმობა ღვთივკურთხეული და კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე კეთილშობილური საქმიანობაა... ბოლომდე უნდა დაიხარჯო, ბო-

ლომდე უნდა შეეწირო!

გილოცავთ, კოლეგებო! მე მჯერა თქვენი წარმატებებისა და იმის, რომ უფლის დახმარებით ბევრს გავაკეთებთ ჩვენი საქართველოსთვის. კიდევ ერთხელ დავესესხები შოთა რუსთაველს – „არას გარგებს ძლიერება, თუ არ შეგწევს ღმრთისა ძალი! დიდთა ხეთა მოერევის, მცირე დასწვავს ნაბერწკალი“ და ყველას ვუსურვებ თავისი საქმიანობა და ცხოვრება სწორად წარმართოს, რათა შეძლოს და, უფლის წყალობით, გადალახოს ცხოვრების მიერ გარემოებათა შესაბამისად შემოთავაზებული, თუნდაც, ძალზე დიდი დაბრკოლება.

კიდევ ერთხელ გილოცავთ და გისურვებთ დიდ წარმატებებს!

ანზორ გოგიბერიძე,
მედიცინის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი

გილოცავთ, ჩინ ლამაზი წლები გელოდებათ!

მახსოვს ის წუთები, როცა სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი; მახსოვს მოლოდინი და პირველი დღე უნივერსიტეტში მოსვლისა – გაფართოებული თვალებით რომ შევცქერეროდით ერთმანეთს და ვცდილობდით ყველაფერი დაგვემახსოვრებინა... უბედნიერესი ადამიანი ვარ, ცხოვრების უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება სწორად რომ მივიღე, საუკეთესო უნივერსიტეტში ჩავაბარე, სადაც 5 შესანიშნავი წელი გავატარე. საოცარ ადამიანებთან მქონდა ურთიერთობა, ყოველი დღე და წამი ჩვენს წვრთნას და პროფესიონალებად ჩამოყალიბებას ემსახურებოდა. არ მჯეროდა, როცა ამბობდნენ, სტუდენტობა ცხოვრების ყველაზე ლამაზი წლებიაო, მაგრამ დღეს მე მათ რიცხვში ვარ, ვინც ამ სიტყვებს აუცილებლად გაიმეორებს.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენს უნივერსიტეტს, რექტორატს, სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანატს, სადაც ჩვენზე ზრუნავდნენ, ბატონ სოსოს, ქალბატონებს ნანას, მარიკას; ძალიან დიდი მადლობა ლექტორებს, რომლებიც მუდამ იმის მცდელობაში იყვნენ, ჩვენთვის ცოდნის მაქსიმუმი გადმოეცათ; მადლობა სტუდენტურ თვითმმართველობას, რომელმაც ძალიან ბევრი რამ მასწავლა, გამაძლიერა, გამზარდა, უამრავი პროექტის მონაწილე და ორგანიზატორი გამხადა. მოკლედ, ბევრი ვისწავლე არა მხოლოდ მედიცინაში, არამედ ვისწავლე ურთიერთობა, ადამიანობა, სიყვარული, მეგობრობა. ვულოცავ ყველა პირველკურსელს და ვურჩევ, ყოველი წამი მაქსიმალურად გამოიყენონ ცოდნის შესაძენად.

გილოცავთ, ლამაზი წლები გელოდებათ!

მარიამ ყურაშვილი,
სტომატოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული

პირველკურსელებს

თქვენი ექიმობა იწყება დღეს!

მოგესალმებით, კოლეგებო! გილოცავთ სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტობას და გისურვებთ წარმატებებს, რომელიც ჩვენს დარგში მხოლოდ მაღალი აკადემიური მოსწრების შემთხვევაში მოდის. ყველა დროში ბევრს სურდა, ესწავლა იქ, სადაც ახლა თქვენ სწავლობთ და ძალიან ბევრმა ცნობილმა ადამიანმა ისწავლა იქ, სადაც ახლა თქვენც ისწავლით. გააგრძელებთ რა ღირსეულ ტრადიციებს, ბევრ ახალ, თანამედროვე გამოწვევას სანაქებოდ გაართმევთ თავს მხოლოდ ყოველდღიური მეცადინეობით, რის გამოც მრავალი ღამის გათენება მოგიწევთ, რომ შეძლოთ საკუთარი მიზნების განხორციელება, გახსოვდეთ, რომ „სწავლის გამო წვალება დროებითია, უსწავლელობის გამო კი წვალება – მარადიული“. წარმატება მხოლოდ თვითსრულყოფილებით და მყარი რწმენით მოდის, გახსოვდეთ, რომ დრო გარბის და თქვენი წარმატება თქვენივე სწავლის პირდაპირპროპორციული იქნება, დღევანდელი დღე არასოდეს განმეორდება, ამ მომენტშიც კი თქვენი „მტრები ხარბად ფურცლავენ წიგნებს...“

გამოიყენეთ უნივერსიტეტის დიდი შესაძლებლობები, გახდეთ მაღალი რანგის ექიმი. გახსოვდეთ, თქვენი ექიმობა იწყება დღეს!

გია ბურჯანაძე,
ექიმი-კარდიოლოგი, თსსუ-ის ბიოქიმიის დეპარტამენტის პედაგოგი

მიზნის მისაღწევად ბევრი გაქვთ გასაკეთებელი

ფიზიკოსი მინდოდა გავმხდარიყავი, მაგრამ დროთა განმავლობაში ვხედავდი რა მშობლიურ მხარეში არსებულ პრობლემებს, განსაკუთრებით – ჯანდაცვის მიმართულებით, როგორც დღეს, მაშინაც რომ ჭირდა კადრები საავადმყოფოებში, მოსახლეობა ვერ იღებდა იმ აუცილებელ მომსახურეობას ადგილზე, გადავწყვიტე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩამებარებინა, რომელიც 2010 წელს დავამთავრე. შემდეგ სწავლა რუსეთში განვაგრძე – სან-პეტერბურგში, მეჩნიკოვის სახელობის უნივერსიტეტში დავამთავრე კლინიკური ორდინატურა, პარალელურად, ვმუშაობდი სამხედრო ჰოსპიტალში, ზოგადი ქირურგიის განყოფილებაში უფროს ორდინატორად. ვმუშაობდი ქალაქ ტოსნოშიც, ქირურგიის განყოფილებაში. პეტერბურგის №4 საქალაქო საავადმყოფოს ენდოვიდეო ქირურგიის განყოფილებაში (ლაპაროსკოპიული ქირურგიის განყოფილება) წელიწადნახევარი დავყავი. პარალელურად, პრაქტიკა გავიარე პეტროვის სახელობის ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრში აბდომინური ქირურგიის განყოფილებაში, სადაც, ორდინატურის დამთავრების შემდეგ, ჩავირიცხე ასპირანტურაში. 2013 წელს მესტიაში ჩამოვედი, ვნახე, რომ ადგილობრივი კლინიკა ქირურგის გარეშე იყო დარჩენილი. ჩემი სულიერი მოძღვარის თხოვნით და მშობლიური მხარის მიმართ სიყვარულის და ვალდებულების ნიშნად, დავიწყე რიგით ქირურგად მუშაობა. მსშინ, კლინიკის მფლობელი კერძო სადაზღვეო კომპანიის მხრიდან, ხელშეწყობა თითქმის არანაირი იყო. დღევანდელი ჯანდაცვის სისტემის შედარებით სწორმა პოლიტიკამ კარგი შედეგი გამოიღო, კადრების პრობლემაც თითქმის მოგვარდა. დღეს კლინიკის მთავარი ქირურგი ვარ და მიხარია, რომ ჩემს უძვირფასეს კუთხეს და ხალხს ვემსახურები.

განსაკუთრებული მადლობის გრძნობით მინდა მოვიხსენიო მშობლიური სამედიცინო უნივერსიტეტის ის პროფესორ-მასწავლებლები, ვინც ცხოვრების სწორ გზაზე დადგომაში დამეხმარა: ბატონები – **თეიმურაზ პეტრიაშვილი**, **რამაზ ჩიხლაძე** და **მამუკა ჩხაიძე** (რომლის დაკარგვაც უდიდესი დანაკლისი იყო პირადად ჩემთვის). ეს სამი ადამიანი რომ არ ყოფილიყო, მკურნალი ექიმი ნამდვილად ვერ გავხდებოდი.

მინდა ჩემს მომავალ კოლეგებს, პირველკურსელებს, ვუსურვო: პირველივე დღეებიდან შეუდექით ბეჯით სწავლას და თავდაუზოგავ შრომას. მხოლოდ ამ გზით თუ შეიძლება მიზნის მიღწევა, მიზნისა, რომელსაც მშობლიური ქვეყნის და ხალხისთვის თავდადებული სამსახური ჰქვია...

გეგი გულედანი,
მესტიის რაიონული კლინიკის მთავარი ქირურგი

გილოცავთ!

4 წლის წინ, როცა ჯერ კიდევ აბიტურიენტი ვიყავი, არაფერი ვიცოდი ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის არსებობის შესახებ. არ ვიცოდი მისი მნიშვნელობა, საჭიროება, დანიშნულება. უნივერსიტეტის ჩამონათვალის შევსებისას ცალსახა იყო, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ვირჩევდი. ჩამონათვლის ფორმულირებაში მამა და ბიძა მეხმარებოდნენ. სწორედ მათ ამიხსნეს ამ სპეციალობის არსი. ძალიან დამაინტერესა, დავუჯერე კეთილ რჩევას და გადავწყვიტე სწორედ ამ ფაკულტეტის სტუდენტი გავმხდარიყავი.

ეროვნული გამოცდების შედეგებიდან უნივერსიტეტში მოსვლის პირველ დღემდე იყო დიდი ინტერესი, მოლოდინი, მოუსვენრობა, შფოთვა, ბევრი კითხვა – იყო თუ არა ეს გადაწყვეტილება სწორი.

სტუდენტობის პირველივე დღეებიდან (როცა უკვე კომპეტენტურმა ლექტორებმა აგვიხსნეს ჩვენი როლი და დანიშნულება სამედიცინო საქმიანობაში) ძლიერდებოდა ჩემი სურვილი, რომ ვყოფილიყავი ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის სპეციალისტი.

კვალიფიციური პედაგოგების წყალობით, ყოველდღიურად უფრო და უფრო საინტერესო ლექციებს ვისმენდი და ყველა კითხვაზე ამომწურავ პასუხს ვიღებდი.

ფაკულტეტზე მოქმედი ევროპული სტანდარტების პროგრამა დაგვეხმარა თანამედროვე რეაბილიტაციის პრინციპების, პროგრამების, ტექნოლოგიების და მეთოდების სწავლასა და მათ გამოყენებაში საყრდენ-მამოძრავებელი, გულ-სისხლძარღვთა, ნერვული, რესპირატორული და სხვა სისტემების დაზიანების და დაავადების დროს. ამასთან, თსსუ-ს სპორტული მედიცინის და რეაბილიტაციის ცენტრში ყოველთვის გვქონდა შესაძლებლობა აგვეთვისებინა პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რისთვისაც მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ცენტრის დირექტორს, ბატონ **ვალერი ახალკაცს**. მადლობა უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს, პროფესორ-მასწავლებლებს, რომლებიც ყოველთვის მაქსიმალურად იხარჯებოდნენ ჩვენთვის. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ფაკულტეტის დამაარსებელს და პირველ დეკანს, ბატონ **კახაბერ ჭელიძეს** და დეკანს, ქალბატონ **ლელა მასხულიას**, რომ არა მათი ძალისხმევა, შრომა, პროფესიონალიზმი, საქმის და სტუდენტების სიყვარული, ფაკულტეტი ასეთ მოკლე პერიოდში ვერ მიაღწევდა განვითარების ამ დონეს.

ვულოცავ ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის ყველა პირველკურსელს ამ მნიშვნელოვანი, პერსპექტიული და სწრაფად განვითარებადი დარგის სტუდენტობას!

წარმატებას ვუსურვებ თბილისის სახელწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს, მის ყველა სტუდენტს და კურსდამთავრებულს.

თათია ფაჩუაშვილი,
ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებული

დადექით იქ, სადაც ქარიშხალია!

მივესალმები ჩემს მომავალ კოლეგებს! რა შეიძლება ვუთხრა მათ, რა რჩევები მივცე სტუდენტებს, რომლებმაც გადაწყვიტეს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე ჩაბარება, რა გამოწვევები და პერსპექტივები აქვს ფაკულტეტს ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ; ფაქტია, რომ ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე ცვლილებები გადამწყვეტ როლს ანიჭებს დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის, მოსახლეობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, სამედიცინო მომსახურების მონიტორინგისა და ეკონომიკური ეფექტურობის შეფასების საკითხებს, რაც კიდევ ერთხელ ცხადჰყოფს ფაკულტეტის და. ზოგადად, მეცნიერების, როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის აქტუალობას.

სამედიცინო უნივერსიტეტში ოთხწლიანი ნაყოფიერი საქმიანობის მანძილზე ბევრი ახალი და საინტერესო ინფორმაციის ათვისება შევძელი, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ფაკულტეტის ყველა პროფესორს, რომლებიც ძალღონეს არ იშურებდნენ იმისთვის, რომ კონკურენტუნარიან ძალად ჩამოვყალიბებულიყავი. მინდა მადლიერება გამოვხატო თითოეული ლექტორის მიმართ, რომელთა სახელი და გვარი ყველაფერს ამბობს. ჩვენ შევძელით დაგვეარსებინა და დაგვემკვიდრებინა ისეთი მასშტაბური კონფერენცია, როგორიცაა **„გლობალური ჯანმრთელობა და მედიცინა“**, რომელიც 2013-დან დღემდე მრავალ მონაწილეესა და გამარჯვებულს ითვლის.

ახლა კი თვალსაწიერის გასაფართოებლად მინდა ორიოდე სიტყვა გითხრათ **„საზოგადოებრივი ჯანდაცვის“** შესახებ. ეს მეცნიერება შედარებით ახალ, ძალზე სწრაფად განვითარებად დისციპლინას წარმოადგენს, რომელიც თავის თავში ძალიან ბევრს მოიცავს, იგი შეისწავლის: თუ რა ზეგავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური, გარემო ფაქტორები და ა.შ. უფრო კონკრეტულად კი ჯანდაცვა იყენებს ყველა ორგანიზებულ ღონისძიებას (იქნება ეს საზოგადოებრივი, თუ კერძო) დაავადების პრევენციის, ჯანმრთელობის ხელშეწყობის და სიცოცხლის გახანგრძლივებისთვის მთლიან პოპულაციაში. მისი აქტივობები მიმართულია იმ პირობების უზრუნველყოფისკენ, რომელშიც ადამიანები შეიძლება იყვნენ ჯანმრთელები და კონცენტრირებულია მთელ პოპულაციაზე და არა ინდივიდუალურ დაავადებებსა და პაციენტებზე. ასე რომ, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ამოცანა არის ტოტალური სისტემური პრობლემები და არა კონკრეტული დაავადების აღმოფხვრა. საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუშაკები ახორციელებენ მთელი საზოგადოების ჯანმრთელობის პრობლემების მონიტორინგს, ხელს უწყობენ ჯანდაცვის პრაქტიკას და ქცევებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს მთელი პოპულაციის სიჯანსაღე და არა კონკრეტულად ერთის. მკითხველს, ალბათ დაინტერესებს, თუ რა საჭირო იყო საზოგადოებრივი ჯანდაცვის მთელი უპირატესობების ჩამოთვლა, მაგრამ სწორედაც, რომ საჭირო და დროულია საზოგადოებრივი ჯანდაცვის, როგორც მეცნიერების პოპულარიზაცია. ერთი რამ ნამდვილად მინდა ვისურვო, ექიმს არასდროს არ გადაეხვიოს **ჰიპოკრატესეული** ფიცის გზიდან და ყოველთვის იაროს შემდეგი პრინციპებით: **გულისხმიერება** (ლათ. Salus Aegroti Suprema lex), **„არ ავნო“** (ლათ. Primum non nocere), **ავტონომია** (ლათ. Voluntas aegroti suprema lex), **სამართლიანობა, ღირსება, კეთილსინდისიერება, პატიოსნება**.

ოთხწლიანი მოღვაწეობის მანძილზე პატივი მერგო ვყოფილიყავი **„სამედიცინო გაზეთის“** სტუდენტური გვერდის ხელმძღვანელიც. ჩვენი ხელშეწყობით არა ერთი და ორი სტუდენტის შემოქმედებას დაეთმო გაზეთის ფურცლები. დიდ მადლობას ვუხდი გაზეთის რედაქციას ნდობისა და მხარდაჭერისთვის.

კიდევ ერთხელ, წარმატებებს ვუსურვებ ჩემს მომავალ კოლეგებს, ეს მათთვის ცხოვრების ახალი ეტაპის დასაწყისია, ვიმედოვნებ რომ მომავლის რწმენით აღსავსენი, ცხენების ფლოქვების თქარუნის კვალდაკვალ (ალბათ ეს „ლურჯა ცხენებია“) გაუყვებიან აწმყოს - „აწმყო, შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავლისა“. და კიდევ ერთი – იდექით იქ, სადაც „ცეცხლი და ქარიშხალია“, „ჩვენც ექიმები საქართველოსი!“ (ავტ. პროფ. დინარა კასრაძე.)

და ბოლოს, გურამის ზე-ქმნილებიდან – „მიყვარხართ სიყვარულთა შორის ყველაზე დიდი სიყვარულით...“

გიორგი გაგუა,
საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის კურსდამთავრებული

პროფესორ თენგიზ ახმეტელის ხსოვნის პატივსაცემად

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თაოსნობით და თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ვაკის რაიონის **ნიკოლოზ ცხვედაძის I ჩიხს** მიენიჭა თბილისის საპატიო მოქალაქის, მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწის, ცნობილი ექიმის, პროფესორ **თენგიზ ახმეტელის** სახელი, რითაც პატივი მიეგო აწგარდაცვლილი სახელგანთქმული ქირურგის ხსოვნას.

პირველკურსელებს

სამომავლო ურთიერთობების სურვილით

სამედიცინო უნივერსიტეტში წარმატებით ხორციელდება პროგრამები, რომელიც გულისხმობს აშშ-ის, ევროკავშირის ქვეყნების, დიდი ბრიტანეთის, თურქეთის და ისრაელის უნივერსიტეტების წამყვანი პროფესორების მოწვევას. ამ პროგრამის ფარგლებში 2012 წლიდან სამედიცინო უნივერსიტეტში ლექციები წაიკითხა და სხვადასხვა ტიპის სამედიცინო აქტივობა განახორციელა 250-მდე უცხოელმა პროფესორმა.

ახლახან კი ჩვენს უნივერსიტეტს ეწვია თურქი სტუმარი – **რეჯეპ თაიპ ერდოგანის უნივერსიტეტის პროფესორი ასლი იაზაგანი**, რომელმაც თსსუ-ის **ინფორმატიკის**, **მათემატიკისა და ბიომექანიკის დეპარტამენტში**, **„MEVLANA“-ს პროგრამის** ფარგლებში, ფარმაციის, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის და ჯანდაცვის ფაკულტეტების პირველკურსელთათვის წაიკითხა ლექციათა ციკლი – **„შესავალი სამედიცინო ინფორმატიკაში“** და **„შესავალი მათემატიკასა და სტატისტიკაში“**.

ანკარის ჰაჯეტეპეს უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ასლი იაზაგანი ამერიკის შეერთებულ შტატებში, პენსილვანიის შტატის ქ. პიტსბურგის უნივერსიტეტში გაემგზავრა საინფორმაციო ტექნოლოგიების შესასწავლად. ამჟამად იგი მოღვაწეობს ქ. რიზეში, რეჯეპ თაიპ ერდოგანის უნივერსიტეტში და კითხულობს ლექციებს საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და კომპიუტერულ პროგრამებში.

უნდა აღინიშნოს, რომ სლაიდების და ფილმების საშუალებით წარმოდგენილმა ლექციებმა მსმენელთა დაინტერესება გამოიწვია – აუდიტორიასა და პროფესორს შორის შესანიშნავი ურთიერთობა დამყარდა, სტუდენტების დასმულ შეკითხვებს სტუმარი ამომწურავად პასუხობდა.

ლექციების შემდეგ დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, პროფესორ **ალექსანდრე ციბაძეს**, დეპარტამენტის პედაგოგებთან, ასოცირებულ პროფესორ **ნიკო გოცირიძესა** და ასისტენ-პროფესორ **ლალი ხუციშვილთან** ერთად, მიმდინარეობდა საინტერესო საუბრები აღნიშნული თემატიკის ირგვლივ, გაჩნდა და სამომავლოდ დაიგეგმა ერთობლივი სახელმძღვანელოს შექმნის იდეაც.

დეპარტამენტის ინიციატივით ასლი იაზაგანმა დაათვალიერა თბილისის და მისი შემოგარენის ღირსშესანიშნაობანი. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში სტუმარსა და მასპინძლებს შორის სუფევდა მეგობრული და გულთბილი ატმოსფერო.

ასლი იაზაგანმა კმაყოფილება და მადლიერება გამოხატა თსსუ-ის ინფორმატიკის, მათემატიკისა და ბიომექანიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფესორ **ალ. ციბაძის** და **თანამშრომლების**, ასევე, თსსუ-ის **უცხოეთის დეპარტამენტის** მიმართ, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ სტუმრისთვის ხელსაყრელი სამუშაო პირობები შეექმნათ.

გამომშვიდობებისას თურქმა სტუმარმა აღნიშნა, რომ შინ დადებითი შთაბეჭდილებებით დატვირთული და ჩვენთან სამომავლო ურთიერთობების სურვილით გაემგზავრა.

„სამედიცინო გაზეთის“
რედაქცია:
ვაჟა ფშაველას გამზირი №33;
ოთახი №415
ტ.: 254-24-64
რედაქტორი
დალი გაგეშია
ტ.: 599 76-25-98
579 99-98-09
კორესპონდენტები:
მანანა ფხალაძე
ტ.: 555 29-98-27
დარეჯან კომლაძე
ტ.: 558 17-08-47
ნატო გოლქვაძე
ტ.: 555 28-28-97
ელ.ფოსტა:
medpressa@yahoo.com